წელიწადი I-ლი

ხუთშაბათი 26 იანვარი

ფასი 30 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათომის ცნობის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 600 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 50 მან.
4 „ „ „ . . . 45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.
ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 19 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 19

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროძალ-სხირტლაძის

სამშაბათიდან 25 იანვრიდან ამერიკული კინო-რომანი
მ ო რ ი ს ლ ე ბ ლ ა ნ ი ს ა
წითელი ბეჭედი.
ეპიზოდი 4 შავი მანტია, 5 საკვირველი ქურდები.
დასასრულ საშინელი სტენოგრაფისტკა.

ანონსი: შაბათიდან 29 იანვრიდან ახალი პროგრამა წითელი ბეჭედი 6 და 7 ეპიზოდი.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

სამშაბათიდან 25 იანვრიდან ახალი სენსაციური გამოცვლა სურათებისა
სახელ განთქმულ მსახიობ მ ა რ ი ა მ კ ა რ მ ი ს მონაწილეობით
═ ქ ა ლ ი ა მ ო ც ა ნ ა. ═
დრამა 5 ნაწილად.

ანონსი: შაბათიდან 29 იანვრიდან
მხიარული ფარსი მარტო დიდებისთვის
ი უ რ ი ნ ა გ ო რ ნ ი

ბ ა თ უ მ ი ს ფ რ ო ნ ტ ი ს
დამხმარე მთავარი კომიტეტი
აცხადებს, რომ ყოველ გვარი ფულების თუ ნივთების შეკრება ფრონტის სასარგებლოდ ამიერიდან სწყდება.
კომიტეტი სთხოვს ყველა იმ პირთ, რომლებსაც ხელთ აქვთ სიები თუ წიგნაკები უკანვე დაუბრუნოს ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს, დაწვრილებითი ანგარიშების გასაქვეყნებლად.
31 3—3

ელინთა პოლიტიკური კლუბი
═ გ ა დ ა ვ ი დ ა ═
ახალ ბინაზე, სომხების ქუჩა № 2, პირველი სართული (ინგლისელთა ყოფილი სასამართლო)
3—1 კლუბის თავმჯდომარე ქ. კოკონდოკულო.

მე-4 ქვეითა ათასეული ნიშნავს 26 იანვარს 1921 წ. დღის 12 საათ.
საჯარო ვაჭრობას
ათასეულისათვის ხორცისა და სხვა სანოვაგის მოსაწოდებლათ
საჯარო ვაჭრობა მოხდება ათასეულის შენობაში; ცნობების მიღება შეიძლება ათასეულის საბინაო ნაწილში, არტაანის ყაზარმებში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე.
ვაჭრობა მოხდება დახურულ ბარათებით. საჭიროა ერთი მილიონი საწინდარი.
35 3—3

ბათუმელ სტუდენტთა საღამო
რომელიც უნდა ყოფილიყო
26 იანვარს
გადაიდო

ქართ. შორის წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების მიერ.
27 ამა იანვარს გაიმართება ჩვეულებრივი
მე-XXVIII
მუსიკალური ქართული
═ საღამო ═
ცოცხალი სურათებით
დაწვრილებით პროგრამებში
დასაწყისი 8 საათზე საღამოს

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს
რომ მან ეხლად მოაწყო
ვალცის წისქვილი
(вальцовую мельницу).
რომელიც ჯერ ჯერობით დღიურათ ფქვავს 1000 ფუთ ხორბალს. მიღებულია ზომები მის გასაფართოებლად და ახლო მომავალში დაფქვავს დღიურად 2000 ფუთამდე
დაწესებულებანი რომელიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილი, ყოველივე ცნობისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას.
ბათომის ქალაქის გამგეობა.

## ბათომი, 27 იანვარი.

სულ მალე მთელ რესპუბლიკაში არჩევნები დაიწყება. სამზადისი უკვე სწარმოებს თვითმართველი ორგანოები შეუდგენ მოქალაქეთა აღწერას, ამომრჩეველთა სია მზადდება და ამომრჩეველს ეძლევა საშვალება თავისი განაჩენი გამოუტანოს მმართველ ჯგუფს, მისი მოღვაწეობა მოიწონოს, თუ მას წუნი დასდოს და მმართველობის საჭე ხელიდან გამოაცალოს.

დღევანდელი არჩევნების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის უდავოა. ეს არჩევნები ბევრ რამეს იტყვის არა მარტო ჩვენთვის, ამ არჩევნებს ბევრი რამეს თქმა შეუძლია უცხოეთისათვისაც.

სამი წლის წინეთ საქართველო ჩამოშორდა რუსეთს და დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა. ბევრი და მათ შორის ბოლშევიკები დამოუკიდებლობის აქტს აცლიდენ სახალხო ნების დასტურს და ჩვენ დამოუკიდებლობას „სოციალ გამყიდველთა მოქმედება“ ნების შედეგათ სთვლიდენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, საქართველოს დღევანდელი არსებობა, მისი დამოკიდებულება მეზობელ სახელმწიფოებთან და ევროპის სახელმწიფოების განწყობილება საქართველოსადმი კი სავსებით გადაჯაჭვულია იმ ჯგუფის მოღვაწეობაზე და მდგომარეობის მიერ გათვალისწინებაზე, რომელიც მაშინ და ეხლაც ჩვენი სახელმწიფოს სათავეში სდგას და მის საშინაო და საგარეო ცხოვრებას ხელმძღვანელობს.

ჯერ ჩვენი ქვეყანა კიდევ ძიების ხანაში იმყოფება; მართალია, ფაქტიურათ ჩვენი მთავრობა ცნობილია, მას ელაპარაკებიან, ხელშეკრულებას სდებენ, დიპლომატიურ წარმომადგენლებს გზავნიან, მაგრამ სრული ცნობა იურიდიული სანქცია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობისა საძიებო არის გამხდარი. ის ძალები, რომლებიც ჩვენ არსებობას ებრძვიან, კვლავ განაგრძობენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მუშაობას და ჩვენი სამშობლოს

ცნობას უკავშირებენ რუსეთის საკითს.

ამბობენ, როდესაც გაიფანტება რუსეთში ამოვარდნილი გრიგალი, სამოქალაქო ომი შეწყდება და რუსის ხალხი შეუდგება ყველა მის წინაშე დამდგარ ამოცანების გადაჭრას, რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა საკითხიც მაშინ გადიჭრებაო.

ცნობა არ ცნობა ყველა ამ სახელმწიფოთა მათის აზრით დამოკიდებულია რუსი ხალხის ნებასურვილზე. რუსის ხალხს და მხოლოთ მას აქვს უფლება ერთხელ და სამუდამოთ გადაჭრას რუსეთის საზღვრებში აღმოცენებულ სახელმწიფოთა არსებობა. ამას ზედ ერთვის ის გარემოება, რომ ერთა ლიგის საზოგადოა კრებამ საქართველოს ური უთხრა ერთა ლიგაში მიღებაზე.

ასე რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა გართულებულია. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის იურიდიული ცნობა გადადებულია. ეს ერთგვარათ არღვევს ჩვენ საშინაო ვითარებას და ჩვენი ქვეყნის შინაურ და გარეშე მტრებს საბრძოლველათ უფრო ახალისებს.

ცხადია მომავალი არჩევნები ეძლევა საერთაშორისო მნიშვნელობაც. რას იტყვის ჩვენი ხალხი, ვის ჩააბარებს ის საშობლოს მეპატრონობას; ნდობას გამოუცხადებს ის იმ წრეს, რომელიც აქამდის განაგებდა და ხელმძღვანელობდა ქვეყანას, თუ თავისი ფიტუმით სხვა ძალას მოუხმობს ქვეყნის გამგებლათ.

ჩვენი მოწინააღმდეგე ძალები, ევროპის სახელმწიფოებიც ანგარიშს გაუწევენ ჩვენი ხალხის გადაწყვეტილებას და როგორი იქნება ეს გადაწყვეტილება რა აისტერებს ყველას და მათ შორის ჩვენ მოწინააღმდეგე ძალებსაც.

ეს არჩევნები ჩვეულებრივი, ჩვენი საშინაო ძალების შეჯახების დაფასებით არ განისაზღვრება და ყველას უნდა გვახსოვდეს მომავალი არჩევნების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის.

## მოკლე შენიშვნები.

მე მინდა ორი ოდე სიტყვა ვსთქვა ნიკოლოზ გომანის შესახებ.

ოფიციალური მდგომარეობით ის ბათომის ქალაქის სკოლის მასწავლებელია. ნამდვილათ კი მართლაც რომ—შესანიშნავი ადამიანი ყოფილა.

ჩვენ მიყურებულ პროვინციალურ ცხოვრების კოლორიტაში ამ მუშაკს თავისებური სიცოცხლე შეუტანია.

საარაკო პიროვნება გამოუჩენია.

შეიძლება ძველ აქაურ მცხოვრებთ ეს კიდევაც გაუკვირდეთ და გადამეტებაც დამაბრალონ რადგან ნათქვამია.

— ,,შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს''!.

ჩემთვის კი ის გასაოცარი ადამიანია.

მე შემთხვევით გავეცანი მის ნაშრომს, ისე ,,სხვათა შორის'' დავათვალიერე დაწესებულება, რომ ლიც მისი პირმშო შვილია და დავრწმუნდი თუ რა შესძლებია სიყვარულს

სასწაულებს ჩვენ ცაში არ უნდა ველოდეთ.

აქვე, ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე, ჩვენთან, ჩვენს ახლოს შეიძლება იდგეს ადამიანი, რომელსაც აქვს სასწაულის უნარი რადგან მას გულში სიყვარულის ცეცხლია ანთებული.

ნ. ნ. გომანის ადამიანისადმი სიყვარულის ცეცხლმა ჩვენ მოგვცა ქალაქის ერთი უძვირფასესი დაწესებულება;

— ქალაქის მუზეუმი.

ამ მუზეუმის წარმოშობის დახლოებით გაცნობა ბევრს ასწავლის თუ როგორ უნდა ამ ქვეყნათ ცხოვრება და მუშაობა...

ნ. ნ. გომანმა ამ საქმით გამოაშკარავა თავისი პიროვნების მეტად საინტერესო და მდიდარი ინდივიდუალური თვისებანი.

მას უყვარს სიცოცხლე და ბუნება.

უყვარს პირუტყვი და ადამიანი, უყვარს ზღვა და დედამიწა, უყვარს წარსული და მომავალი...

მე არ ვიცი როგორი მასწავლებელია ის სკოლაში, რამდენათ ძლიერია ის პედაგოგიურ გადმოცემაში.

ალბათ ამ დარგშიაც ის ნაყოფიერი და სასარგებლო მოღვაწე არის, რადგან შეაბერდა სკოლას და ზურგი მისთვის ერთხელაც არ შეუქცევია.

მე კი მხოლოთ მუზეუმის დათვალიერებით დავრწმუნდი, რომ ნ. ნ. გომანი არის ნამდვილი მასწავლებელი.

თავისი საქმის უკიდურესი ფანატიკი.

მან საკუთარი ხელით შექმნა მუზეუმი, რომელიც მისი სიცოცხლის ძეგლია, მისი სიყვარულის გამოვლენა არის.

ამ შესანიშნავმა მუშაკმა შეუძლებელ პირობებში შესძლო თავისი დანიშნულების, თავისი მისწრაფების მიღწევა და განხორციელება.

მუზეუმის მოწყობის დროს ის ივით არის:

— შავი მუშა!

— დურგალი!

— ისტორიკი!

— აგრონომი!

— კალატოზი!..

საყვარელი საქმისთვის ის ყველას ფერს ჩემულობს ოფლს ღვრის, იწვის, იტანჯება და ასეთი შრომის ქურაში იკლავს აღტაცებული სიყვარულის ჯინს...

დღე ის მეცადინეობს სკოლაში, რადგან ერთის მხრით უყვარს ეს საქმე და მეორე მხრით ხელმოკლეა და უნდა იზრუნოს არსებობისათვის.

მუზეუმს კი ანდომებს ცგრეთ წოდებულ ,,თავისუფალ დროს'', როდესაც ჩვეულებრივი ადამიანი თავისუფალია და ლუარსაბ თათქარიძეობს..

გომანი ხელოვნის მასწავლებელია და იწყობს ამ საქმეს პუშკინის სახელობის სკოლაში 1908 წ.

ჯერ ეს დაწესებულება საბავშო მუზეუმის სახელით იწყება აწვევს მხოლოთ მოწაფეთა ყურადღებას.

მასწავლებელი თავს ევლება ბავშებს და ბუნებისადმი სიყვარულის გრძნობებს აღვივებს მათ გულში.

შემდეგ კოლექციები იზრდება საქმე ,,აღარ ხუმრობს'' და 1910 წ. ქალაქს გადააქვს მუზეუმი ქალაქის თვითმართველობის შენობაში, ერთ პატარა ოთახში.

სიყვარულით დაწყებული საქმე დიდდება, თანდათან ფართოვდება და ბოლოს მუზეუმი გაშლილია 4 ნათელ და განიერ ოთახებში, რომელსაც აქვს ცალკე შესასვლელი. მუზეუმთან არსდება ცალკე სახელოსნო და ლაბარატორია.

საბავშვო მუზეუმის ნაცვლათ დღეს ქალაქს აქვს ფრიად მდიდარ შინაარსიანი მუზეუმი, რომელშ აცგამოფენილია ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმდიდრეთა ნიმუშები სადაც მადლიერ ხელს მოუწყვია საინტერესო განყოფილებები აქ უხვათ არის წარმოდგენილი ჩვენი ფნორაფაუნის კოლექციები, აქვე არის საინტერესო საეტნოგრაფიო და სოფლის მეურნეობის განყოფილებები და აგრეთვე დედა-მიწის და მთა მადნეულობის სიმდიდრეთა ნიმუშები.

მუზეუმში ინახება იმ ყუმბარის მოხრდილი ნაგლეჯი, რომელიც ბათომს ესროლა ისტორიულ დღეს გერმანიის ,,გებენმა''.

მუზეუმს აქვს საკუთარი სამკითხველო და მუნიციპალური განყოფილებაც.

ეს საქმე ამშვენებს ბათომის თვითმართველობას და წარმოადგენს დღეს დიდ ღირებულებას.

მე გავიგე რომ ნ. ნ. გომანს შეუდგენია მუზეუმი კაპეიკებით და ვინ იცის, რამდენი უსიამოვნება დაატყდა მას ამ გროშების ძებნაში...

ჩვენი ძარღვები ეხლა ძალზე დაჭანცულია.

რაც უნდა მაგარი იყოს ადამიანი, შეუძლებელია ჩვენმა აფორიაქებულმა დრომ ის არ ,,შეანძრიოს'' სულიერათ, არ მოუშალოს მას ნერვები.

ამას წინ ახლავს გულგატეხილობაც.

ადამიანის სულიერი მდგომარეობა დღეს ერთგვარ რყევაშია, რადგან ჩვენს თაობას წილათ ხვდა უმძიმესი საარსებო პირობები...

არის წუთები, როდესაც ეს პირობები გაძულებს სიცოცხლეს, გრიყავს ცხოვრებიდან და უიმედობის მატლი სძიძგნის სულსა და გულს.

ასეთ დროს შედით ნ. ნ. გომანის მიერ მოწყობილ მუზეუმში და გაეცანით მას, მაშინ თქვენ შეგრცხვებათ უიმედობის და გამოხვალთ იქედან გადახალისებული ..

ქ. ფირცხალაიშვილი.

## კოოპერატიული ბანკი.

ბათომში არსდება კოოპერატიული ბანკი.

ამ ბანკს დიდი დადებითი მნიშვნელობა ექნება როგორც ქ. ბათომისთვის ისე მთელ ამ მხარისთვის.

წვრილი კრედიტების და საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკებმა იმედები ვერ გაამართლეს. კოოპერატიული ბანკი ერთად ერთი სანდო და საქვეყნო ინტერესთან შესაგუებელი ბანკია. ინგლისის ვეებერთელა კოოპერატიულ ბანკებს მთავარ სახელმწიფო ბანკებზე მეტი სარგებლობა მოუტანიათ სახელმწიფოსთვის და კოოპერატიულ ბანკებს სახელმწიფო ბანკზე უფრო წინ აყენებენ.

საქართველოში სადაც დემოკრატიული სახელმწიფო ებრძვის სპეკულიაციას და საძირკველს უყრის საზოგადოებრივ კოოპერატიულ წარმოებას მეტად სასურველია კოოპერატიული ბანკის მოქმედება. კოოპერატიული ბანკების ფხიზელი ოპერაციები ჩვენ დაგვიხსნიდა სხვა და სხვა სასპეკულიაციო ბანკების კლანჭებისგან. განსაკუთრებით ბათომში საჭირო ასეთ ბანკის არსებობა, ბათომი საქართველოს და ევროპის ხიდია აქ შემოსული თუ მომავალი საქონელი რომელიც სასპეკულიაციო ბანკებში გაივლის უმეტეს წილად საქართველოს ეკონომიურ კრიზისის ხელ შემწყობ ფაქტორად ედება. ეხლა ბანკები წინასწარ იგირავებენ რა ამა თუ იმ საქონელს შემდეგ სხედან და უცქერიან ვანიეტის თამაშს ვაჭრობაში. კოოპერატიულ ბანკს ბათომში შეძლება ექნება ამ მოვლენის ძლიერათ შებრძოლოს

ამგვარიდან იმ საქონელს, რომელსაც დანიშნულება ჩვენსკენ აქვს ან ჩვენი სახელით მიდის ევროპაში ეხლა ბანკები კი არ ჩაიგდებენ ხელში სასპეკულიაციო საგნად არამედ პირდაპირ ჩვენი კოოპერატიული ბანკი მიიღებს ამ საქონელს და გაანაწილებს საჭიროების მებრ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი კოოპერატიული ბანკი უმთავრესად საქართველოს სახელმწიფო მიზანს ემსახურება აქ ბათომში და მტკიცე ვალიუტის შესაქმნელადაც სათანადო ნაბიჯებს გადასდგამს ამ თავიდანვე.

ბათომი სიხარულით მოელის კოოპერატიული ბანკის დაარსებას.

ი. ჯ.-ლი.

## უცხოეთი.

**ალბერტ ტომას განცხადება.**

საერთაშორისო შრომის ბიუროს დირექტორმა ალბერტ ტომამ ჟენევის პრესას განუცხადა რომ, მან უკვე დაამთავრა თავისი მოგზაურობა. ალბერტ-ტომას სიტყვით საფრანგეთის მეურნეობის და შრომის განვითარების მხრით გერმანია ისევ აღორძინების გზაზე სდგას ამერიკაც შესაფერ ენერგიას იჩენს ამ მხრით. ჯერ ჯერობით საერთაშორისო შრომის ოჯახში შესვლა ისურვა ამერიკამ, გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, საბერძნეთმა და ბელგიამ. ალბერტ-ტომა იმედს გამოსთქვამს რომ სხვა ქვეყნებიც შევლენ ამ კავშირში.

**ვარშავა.**

უკრაინის ოფიცრები, რომლებიც ვარშავაში ჩაიდნენ, ამოწმებენ ცნობას საბჭოთა ჯარის დაჯგუფებას ბესარაბიის საზღვრებთან, მათი აზრით 6000 ათასი ჯარისკაცი იქნება თავმოყრილი.

**რიგა.**

ლატვიის ოფიციალური წრეები ამოწმებენ ბალშევიკების სამხედრო სამზადისს. აღნიშნავენ, რომ პსკოვში იმყოფება სტუჩკა—მეთაური ლატვიის საბჭოთა მთავრობის. სტუჩკა ცდილობს ადგილობრივი ბალშევიკების დახმარებით ვადატრიალება მოახდინოს. ადგილობრივ ბალშევიკების დახმარებას გაუწევს საბჭოთა რუსეთი.

—:—

მოსკოვის გაზ ,,იზვესტია'' იტყობინება რომ ხარბინის სოციალისტური წრეები წინააღმდეგი არიან აღმოსავლეთ ციმბირის მთავრობათა კოალიციის და თხოულობენ ერთი მთავრობის შექმნას მთელი აღმოსავლეთი ციმბირისათვის. ამ მთავრობამ კავშირი უნდა გააბას იაპონელებთან.

იგივე გაზეთი გადმოგვცემს, რომ ფონ უნგერ შტერნბერგმა ანტი ბალშევიკური ჯარი შეადგინა ბურიატებისაგან.

მესაძლებელია ომის[?]იაპონიასთან, რომლის პოლიტიკა აღმოსავლეთ ციმბირში მიმართულია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

**საფრანგეთის პალატა და ახალი კაბინეტი.**

საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დიდი ხმის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა იმ საგარეო პოლიტიკას რომლის გატარებასაც ახალი პრემიერი ბრიანი ჰფიქრობს. პალატა იწონებს ,მთავრობის განცხადებას და იმედოვნებს, რომ იგი გაამაგრებს საფრანგეთის უფლებას და უზრუნველყოფს ყველა რესპუბლიკათა რის ,,ფართო პროგრამული'' ... შე... პოლიტიკის და რესპუბ... კის ... 

**კროპოტკინის ავათმყოფობა.**

მოსკოვი. 22 ივნის გაიგო თუ კროპოტკინის ავადმყოფობა — ... ნინმა სასწრაფოდ გასცა ბრძანება ევზავნოთ საექიმო დახმარება ... როვში, სადაც ამ ჟამად კროპოტ... ნი იმყოფება რუსეთის მოთავე ... გოლიუციის ვეტერანი ამ ჟამად ... წლისაა. ფილტვების ანთების ... ნარეობა იმედს იძლევა, რომ ... მყოფი მორჩება.

სავაჭრო მისია სტოკჰოლმში. შვეციის მთავრობას თანხმო... კერძენცევი დაინიშნა სტოკჰოლ... რუსეთის სავაჭრო მისიის მეთაუ... სამღვდელოებას მიღება სამსახურ...

თანახმად სახალხო საბჭოს ... სარიატის დეკრეტისა, ღვდლები, ბინები, პასტორები, შამანები და სახელმწიფო დაწესებულებათა სა... ხურში მხოლოდ შემდეგი შეზღუდ... მიიღებიან: ისინი მიიღებენ ადგი... მხოლოდ სამაზრო და საგუბერნ... ქალაქებში. რელიგიურ კულ... მოსამსახურენი არ მიიღებიან სახ... სო განათლებისა, იუსტიციისა, წათ-მოქმედებისა და სახალხო კო... სარიატის სასურსათო განყოფი... ბების სამსახურში.

**გაბოლშევიკებულ სომხეთში (ამხატვირის ცნობები).**

— სომხეთში გამუდმებით ხდე... რეკვიზიციები. კომისრების საჭირ... ების დასაკმაყოფილებლათ წაი... მცხოვრებთაგან უკანასკნელი ... ნიც კი.

,,რეფორმები''. ათაბეკოვმა იწყო სომხეთში რეფორმების შ... ლება მან განკარგულება გა... რომ ციხეები არ გაათბონ. ამ გ... კარგულების ცხოვრებაში გასატა... ბლათ მან ბრძანა ციხეებში ბუხ... ბი და ფეჩები დაანგრიონ.

ციხეებში. პატიმარნი საშინ... მდგომარეობაში იმყოფებიან. ეძლევათ დღეში 1 გირვანქა პუ... საკანის კარები იკეტება საღამო... საათზე და იღება დილის 8 ნახ... 9 საათზე. ყველაზე პატარა ოთა... შეგროვილი არიან 50-მდე კაცი. ოსმალეთის სომხები და კო... ნისტები. კომუნისტებს ძალიან ... ნიათ ოსმალეთის სომხების ... უზრუნველჰყონ თავისი თავი ოს... ლეთის სომხების აჯანყებისა... კომუნისტები ყოველ ნაბიჯზე ს... ვნიან მათ. შედგენილია გამცემ... თა მთელი შტაბი. ოსმალეთის ს... ხები გამოცხადებული არიან კონტ... რევოლიუციონერებათ

ბინის კრიზისი. სომხეთიდან გა... სახლებული თურქები ბრუნდებ... თავიანთ სახლებში, რომლებშ... დაშნაკელების მიერ ჩასახლებუ... არიან ეზიდები, სომხები და ... სომხეთის რევკომმა არ იცის, როგორ გადაჭრას ბინის საკითხი.

**კომუნისტები და სომხები.**

რევკომს სომხების ეშინია. აფრთხეს აუცილებლათ არ თვლ... ამიტომ სომეხ მოსამსახურეებსა მხედრებს სცვლიან რუსებით სადაც ვერ პოულობენ საჭირო ... ცებს, დაწესებულებათა სათავ... ნიშნავენ წერა-კითხვის არ მცოდნე რუსებს, სომეხს აძლევენ მოად... თად ქონების გაწმენდის თანამდ... ბას.

,,რასკვარტიროვკა''. რუსის რი ცხოვრობს კერძო სახლებ... იქ, სადაც 8 სულიანი ოჯახი დ... —კომუნისტები უმატებენ კიდ...